# ომი, როგორც პატრიარქალური იდეალების გაძლიერების წყარო

მირანდა ლომიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე გავაშელიშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

## *განაცხადი*

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად*

***მირანდა ლომიძე***

***26.07.2022***

# აბსტრაქტი

ქალები და მამაკაცები გენდერული სოციალიზაციის ფარგლებში ირგებენ როლებს და ახდენენ სოციალური მოთხოვნების და ვალდებულებების გაშინაგანებას. სოციალურად კონსტრუირებული როლები გადანაწილებულია გენდერული მახასიათებლების მიხედვით და ემყარება ბიოლოგიურ ნიშნებს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სამყაროში გენდერული თანასწორობის მხრივ ბევრი მიღწევას ვხედავთ, სხვადასხვა სიტუაციებში ცხადი ხდება, რომ გენდერული ჩარჩოები კვლავ ძალიან ძლიერია. ამ კუთხით ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ომი, რომლის დროსაც განსაკუთრებით აქტიურდება და კონტრასტული ხდება კაცებისა და ქალებისთვის განკუთვნილი გენდერული როლები.

წინამდებარე ნაშრომის საკვლევი თემიდან გამომდინარე შერჩეულია თვისებრივი კვლევის სამ მეთოდი: ვიზუალური ანალიზი, თვისებრივი კონტენტ-ანალიზი და სიღრმისეული ინტერვიუ. ვიზუალური ანალიზის კვლევისას გამოყენებულია 2022 წლის 24 თებერვლიდან 30 აპრილამდე, ქართული ტელეკომპანმიების Facebook გვერდებზე გამოქვეყნებული ფოტო-ვიდეო მასალები, ხოლო კონტენტ-ანალიზისას - აღნიშნულ ფოტო-ვიდეო მასალაზე დაწერილი კომენტარები. სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარებულია ვიზუალური ანალიზიდან და კონტენტ-ანალიზიდან მიღებული შედეგების გასამყარებლად. სიღრმისეული ინტერვიუს ფარგლებში ჩატარებულია რვა ინტერვიუ, ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის მიხედვით.

აღნიშნული კვლევის მეთოდების გამოყენებით დადგინდა, რომ ომში ჩართული აქტორების შეფასებებისას ადამიანები ხშირად მიმართავენ სოციალურად განსაზღვრულ გენდერულ მოლოდინებს. ომი მამაკაცებს უქმნის შესაძლებლობას, რომ მიიღონ ის აღიარება, რომელიც მასკულინობის განსხეულებასა და გამოვლენას უკავშირდება და რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში რთულად მისაღწევია. კვლევიდან გამოიკვეთა ასევე ისიც, რომ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა მამაკაცებს მიუტევებს ჩადენილ „ცოდვებს", ქმნის მისგან გმირს, დამცველს და წარმოაჩენს ომს,

როგორც მამაკაცის „საკეთებელ“ საქმეს. ქალები ამის საპირისპიროდ წარმოჩენილები არიან, როგორც მსხვერპლები და დაცვის საჭიროების მქონეები, რომლებიც ასოცირდებიან ოჯახურ სივრცესთან. დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, ომი აძლიერებს პატრიარქალურ სისტემას, რადგან ახდენს გენდერული როლების კვლავწარმოებას და კიდევ უფრო პოლარიზაციას.

**საძიებო სიტყვები:** გენდერი, ომი, გენდერული თანასწორობა, მასკულინობა, ფემინურობა.

# Abstract

Women and men play roles within gender socialization and internalize social demands and obligations. Socially constructed roles are based on gender characteristics and biological properties. Although there has been much progress in gender equality in the modern world, we can still see gender inequality in some situations. One of these situations is war and military conflict, where society gives men certain duties and responsibilities.

There are three methods of qualitative research: visual analysis, content analysis and in-depth interview. For visual analysis research I used photos and videos which contained the information about war and warrious. I used for Content analisis comments posted on the Facebook pages of Georgian TV companies from February 24th to April 30st. The in-depth study contained eight semi-structured questionnaire interviews.

According to research, we can say that war gives men the opportunity to acquire masculine qualities that are difficult to achieve in everyday life. Research shows that taking part in hostilities forgives men for their "sins", makes them heroes, defenders, and portrays war as a „job" for men. It should be mentioned that the benefits of war do not extend to women because they are associated with family and their natural destination.

In conclusion, it can be said that war gives some advantages to men. These benefits do not apply to a woman who is perceived as vulnerable, weak, and a subject in need of protection. War forms a masculine construct that results in gender inequality.



**Keywords:** Gender, Gender Equality, Masculinity, Manliness, War.